

თსუ სისხლძარღვთა ქირურგიის დეპარტამენტი



კონსტანტინე ყვიანი -
პროფესორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი.



მამუკა ბოკუჩავა- ასოცირებული პროფესორი,
პროფესორ/მასწავლებელი



ზაურ ნონიკაშვილი - ასისტენტ-პროფესორი.



თეა მუხურაძე - მოწვეული პედაგოგი.

სისხლძარღვთა ქირურგიის დეპარტამენტი



სისხლძარღვთა ქირურგიის დეპარტამენტი დაარსდა 2006 წელს, ქირურგიის N.1 დეპარტამენტის ბაზაზე, დაარსებიდან დღემდე დეპარტამენტი ახორციელებს სწავლებას დიპლომამდელ და დიპლომისშემდგომ საფეხურებზე. დიპლომამდელი განათლების პროგრამა სისხლძარღვთა ქირურგიაში განკუთვნილია მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. კათედრას 2006 წლიდან დღემდე სათავეში უდგას პროფესორი კონსტანტინე ყიფიანი.

სისხლძარღვთა ქირურგიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი აქტიურად

თანამშრომლობს უცხოურსამეცნიერო ჯგუფებთან. 2006-2018 წლებში კათედრის თანამშრომლები მონაწილეობენ სამამულო და საერთაშორისო კონგრესებში, სიმპოზიუმებში. მათ მიერ გამოქვეყნებულია სისხლძარღვთა ქირურგიის სხვადასვა საკითხებთან დაკავშირებული სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, შრომათა კრებულები და სტატიები.

სისხლძარღვთა ქირურგიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული „საქართველოს ანგიოლოგებისა და სისხლძარღვთა ქირურგების ასოციაციის“ მუშაობაში. დეპარტამენტის პროფესორი და ასოცირებული პროფესორები არიან ამ ასოციაციის დამფუძნებლები, ყოფილი პრეზიდენტი და გამგეობის წევრები. მათი უშუალო ორგანიზებითა და მონაწილეობით ჩატარდა ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონფერენცია, როგორცაა

„ევროპის ვენური ფორუმის ვორკშოფი ვენურ პათოლოგიებში“ (EVF HOW 2014) .

სისხლძარღვთა ქირურგიის დეპარტამენტი მდებარეობს ნ. ბოხუას სახ. სისხლძარღვთა და გულის დაავადებათა ცენტრის ბაზაზე, ცენტრს გააჩნია სამეცნიერო და პრაქტიკული ურთიერთობები მსოფლიოს წამყვან კლინიკებთან, რომლებიც ხშირად მონაწილეობენ კლინიკის სამეცნიერო -პრაქტიკულ კონფერენციებში. ცენტრში წარმატებით ხორციელდება სისხლძარღვთა ქირურგიის ისეთი მიმართულებები, როგორც არის ბრაქიოცეფალური ტოტების, გულ-მკერდის და მუცლის აორტის ანევრიზმის, აორტისა და ქვედა კიდურების მაგისტრალური არტერიების მაოკლუზირებული დაავადებების როგორც ღია ასევე ენდოვასკულარული ქირურგია. კლინიკას დაგროვილი აქვს დიდი გამოცდილება ვენური და არტერიული თრომბოზების ღია ქირურგიული და ენდოვასკულარული მკურნალობის, მათ შორის კათეტერული თრომბოლიზისი. ცენტრს გააჩნია უნიკალური გამოცდილება წვივის და ტერფის არტერიების (მათ შორის დიაბეტის ფონზე) მაოკლუზირებელი დაზიანების დოს განვითარებული კრიტიკული იშემიის ენდოვასკულარული მკურნალობის, რამაც საგრძნობლად შეამცირა კიდურების ამპუტაციის შემთხვევები. ნ. ბოხუას სახელობის სისხლძარღვთა და გულის დაავადებათა ცენტრში წარმატებით ხორციელდება ოპერაციები გულის მკვებავ სისხლძარღვებზე და ჩარევები გულის შეძენილი მანკების დროს.

ამჟამად სისხლძარღვთა ქირურგიის დეპარტამენტში სისხლძარღვთა ქირურგიას შესაბამისი სასწავლო პროგრამებით შეისწავლიან მედიცინის ფაკულტეტის VI კურსის ქართული, ინგლისური და რუსული სექტორის სტუდენტები.

დეპარტამენტი მონაწილეობს დიპლომისშემდგომი უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამაში. ცენტრში შესაბამისი სასწავლო პროგრამას გადიან სისხლძარღვთა ქირურგიის და ანგიოლოგიის რეზიდენტები.